The European Union for Georgia
ENPARD: Support to Agiculture and Rural Development

Empowered lives.
Resilient nations.

საქართველოს სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო შეხვედრა

კონტექსტი

სოფლის განვითარებაში დღეს არსებული მძიმე ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები მხოლოდ საქართველოსთვის არ არის დამახასიათებელი. ევროკავშირი და ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო ინსტიტუტები აღნიშნულ გამოწვევებს კარგად შემუშავებული პოლიტიკის საშუალებით პასუხობს.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-10 თავის - „სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება“ თანახმად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარება ევროკავშირის პოლიტიკის და პრაქტიკის შესაბამისად. „მხარეები ითანამშრომლებენ, რათა ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებას, კერძოდ, პოლიტიკისა და კანონმდებლობის თანმიმდევრული დაახლოების გზით“ (ასოცირების შეთანხმება, მუხლი 333).

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების შესახებ 332-ე მუხლის, მე-10-ე თავის თანახმად, მხარეებმა უნდა ითანამშრომლონ სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, კერძოდ კი პოლიტიკისა და კანონმდებლობის პროგრესული დაახლოების კუთხით. ასოცირების შეთანხმების 333- მუხლი სხვა დებულებებთან ერთად (მხარეების თანამშრომლობა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით) ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს:

- სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკის ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- EU ევროკავშირის რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით პოლიტიკის დაგეგმვის, შეფასების, განხორციელებისა და გაძლიერების მიზნით, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება;
- სოფლის განვითარების პოლიტიკის ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება სოფლის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის ხელშეწყობის მიზნით.

საქართველოს მთავრობამ, ევროკავშირსა და გაეროს განვითარების პროგრამასთან თანამშრომლობით, შეიმუშავა სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმა. მასში გათვალისწინებულია საქართველოს სახელმწიფო პრიორიტეტები და ყველა იმ სექტორული თუ მრავალსექტორული განვითარების მიმართულებები, რომლებიც კავშირშია სოფლის განვითარებასთან. ეროვნული სტრატეგიის მიღებას მოჰყვა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს (IACC) ჩამოყალიბება.

ევროკავშირში სოფლის განვითარების პოლიტიკის განხორციელება 2000 წლიდან დაიწყო. ევროკავშირში ათწლეულობის განმავლობაში დაგროვილმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ წევრი სახელმწიფოების მთავრობები ცდილობდნენ პოლიტიკის განხორციელების მექანიზმების ეფექტურობის გაძლიერებას, მათ შორის ინსტიტუციური მმართველობის გაძლიერებითა და კომპეტენციების სწორი დელეგირებით.

მიზანი

სამუშაო შეხვედრა განკუთვნილია საქართველოს სოფლის განვითარების უწყებათაშორისი სააკოორდინაციო საბჭოს წევრებისთვის, რომელიც ემსახურება საქართველოს სოფლის განვითარების პოლიტიკის როლის განხილვას მთლიანად ქვეყნის ეროვნული პოლიტიკის კონტექსტში. შეხვედრის მიზანია ხელი შეუწყოს პოლიტიკის ჰარმონიზაციისა და უწყებათაშორისი კოორდინაციის გაძლიერებას.

ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ექსპერტი ევროკავშირის სოფლის განვითარების საკითხებში.

განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

1. როგორ მუშაობს ევროპაში სოფლის განვითარების პოლიტიკა და მმართველობა. როგორ ხედავს ევროკავშირი სოფლის განვითარების პოლიტიკის მომავალს. როგორ აღმოჩნდა საერთო პოლიტიკის ნაწილად სოფლის განვითარება.
2. სად გადის ზღვარი რეგიონული განვითარებისა და სოფლის განვითარების პოლიტიკებს შორის ევროკავშირის ქვეყნებში და როგორ მივაღწიოთ ეფექტურ ინტეგრაციას პოლიტიკურ და პროგრამულ (სამოქმედო გეგმების) დონეზე ადგილობრივი პრიორიტეტების გათვალისწინებით.
3. რა შეიძლება იყოს საქართველოსთვის სოფლის განვითარების პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისათვის საუკეთესო მოდელი და რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას მომავალში.

საქართველოს სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო შეხვედრა

18 ოქტომბერი, 2017 წელი
სასტუმრო „ამბასადორი“, კაჭრეთი

დღის წესრიგი

მოდერატორი: ბ-ნი გიორგი ნანობაშვილი, ეკონომიკური განვითარების გუნდის ხელმძღვანელი, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში

	17 ოქტომბერი, 2017	
18:30	ჩასვლა კაჭრეთში განთავსება სასტუმროში	
19:00-21:00	ვახშამი	

	18 ოქტომბერი, 2017	
10:15-11:00	მონაწილეთა რეგისტრაცია ჩაი, ყავა	
11:00-11:15	მისალმება	ბ-ნი ნოდარ კერესელიძე, სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე; ბ-ნი ირაკლი მატკავა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე; ევროკავშირის დელეგაცია გაეროს განვითარების პროგრამა
სესია 1: სოფლის განვითარების პოლიტიკა		
11:15-11:30	უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობა და სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმა	ბ-ნი ნოდარ კერესელიძე, სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე

11:30-11:45	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქმიანობის შესახებ	ბ-ნი ირაკლი მატკავა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე
11:45-12:00	კითხვები და პასუხები	მონაწილეები
12:00-12:15	შესვენება ყავაზე	
სესია 2: ევროკავშირის გამოცდილება სოფლის განვითარების პოლიტიკაში		
12:15-12:45	სოფლის განვითარება, ევროკავშირის სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკის მეორე სვეტი	ბ-ნი მატეო რასტელი AGEA - Agenzia Erogazioni in Agricoltura-ს წარმომადგენლობა ევროკავშირში, ბრიუსელი
12:45-13:00	კითხვები და პასუხები	
13:00-14:00	ლანჩი	
14:00-14:30	სოფლის განვითარების პოლიტიკის განხორციელება ევროკავშირში	ბ-ნი მატეო რასტელი AGEA - Agenzia Erogazioni in Agricoltura-ს წარმომადგენლობა ევროკავშირში, ბრიუსელი
14:30-14:45	კითხვები და პასუხები	
14:45-15:00	შესვენება ყავაზე	
15:00 – 15:45	დისკუსია საქართველოსთვის სოფლის განვითარების პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისათვის საუკეთესო მოდელი და სამომავლო ნაბიჯები	მონაწილეები
15:45 – 16:15	დისკუსია სოფლის განვითარების სამოქმედო გეგმის მიმდინარე სტატუსი და სამომავლო ნაბიჯები	უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრები